ცნობის ფურცელი

I წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 ხუთშაბათი, 29 მარტი № 1423

ფასი დარს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ერთ-ერთი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელ-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისაში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდ., 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. ТЕЛЕФОНИ № 372.

ეტერინე სვიმონის ასული ზედგინიძისა, მარიამ სვიმონის ასული, ლევან და ია სვიმონის ძენი ზედგინიძენი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ სამშა-თს, 3 აპრილს, სოფელ ძევერის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება წირვა და პა-ნაშვიდი განსვენებულის

ნიკოლოზ სვიმონის ძის ზედგინიძის

სულის მოსახსენებლად. (3—3)

განცხადება.

ბაქოში ქართველთა მიერ შემდგარმა ამხანაგობამ „**ივერია**“,

ოსაც საგნად აქვს ნავთის და ყოველგვარ მთა-მადნეულობის საქმის წარმოება, ილო იჯარით ნავთიანი მიწა სანავთო აგარაკ „საბუნჩაში“ და ამ მოკლე ხანში აპირებს შეუდგეს ნავთის საწარმოებელ მუშაობას.

ანავე, საქმის გასაადიდებლად და მკვიდრ ნიადაგზე დასამყარებლად, ამხანაგობამ საჭიროდ სცნო—ძირითადი თანხა გაადიდოს და ამის გამო გამოსცეს

დამატებითი პაები, თითო პაი ას (100) მანეთად ღირებული.

ენი ამხანაგობისა, ვაუწყებთ რა ზემოხსენებულს, უმორჩილესად ვთხოვთ, ვისაც დამატებითი პაის შეძენა ჰსურს, მოჰმართოს ამხანაგობას შემდეგის ადრესით:

ъ гор. Баку. Князю Іосифу Іюлоновичу Дадіани. Въ контору торгово-про-еннаго товарищества „Иверія“, по Меркурьевской ул., въ домѣ Арафелова.

ამავე ადრესით უნდა გამოიგზავნოს ფული.

გამგენი ამხანაგობისა სამთო ინჟენერნი { თ. ი. ი. დადიანი. / თ. დ. გ. ჯორჯაძე. / ვ. ვ. ბრაილოვსკი.

)—6—8)

საუკეთესო აბრეშუმის ჭიის თესლი

მოიკითხეთ ქ. ბათუმში, მ. ნიკოლაძის წიგნის მაღაზიაში. ფასი ბომიერია. (15—10)

ტფილისის კერძო

ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

ამკურნალის ბედვანიშვილისა.

ოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდ,

დ ი ღ ი თ:

ი. ჭიჭინაძე — კბილის სნეულებანი 8 — ათამდე.

ელ ს. ბედევანიშვილი — ნერვებისა და ბა ელექტრონით — 9 — 10 ს.

ნ. ს მულნი — ყურისა, ყელისა და ცხვირისა,—11—12 სათამდე.

ი. ბ. ახალშენიშვილი — კბილის სნეულებანი —10—2 სათამდე.

ს. ნ. შატილოვი — თვალისა 11—12 ს.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბავშვებისა 11—12 ს.

დ. ს. ბედევანიშვილი — ნერვებისა და შინაგანი — 12—1 სათამდე.

ვ. ლ. მარკევიჩი — სადასტაქრო — $12^1/_2$ $1^1/_2$ სათამდე, სამშაბათობით 3—4 სათამდე.

ი. დ. ბეგთაპეგოვი — სიფილისისა, კანისა და საშარდესი — $1^1/_2$—2 სათამდე.

მ. ბ. ბეზირგანოვი — შინაგანი და ბავშვებისა 1—2 სათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი — დედათა სნეულებანი —5—6 სათამდე.

ს. ს. ბელოზერსკოვი.—შინაგანი (სტომაქის ავათმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური კვლევანი.—5—6 სათზე.

გ. მადლაშვილი—კვირაობით — 10—12 ს. სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კ.; ოპერაციები — მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი დარიბთათვის უფასო.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ). ტელეფონი № 274. (წდ.)

დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

27 მარტი.

პეკინი. დღეს ზამთრის სასახლეში მოკავშირეთა ყველა გენერლებს, ვალდერზეეს თავმჯდომარეობით, თათბირი ჰქონდათ. მსჯელობა ჩინეთთან შეთანხმების მე-8 და მე-9 მუხლებს შეეხებოდა. ორივე მუხლი ერთხმად იქმნა მიღებული. კითხვის პრაქტიკულ გარდაწყვეტის შესახებ ყველანი შეთანხმდნენ. ყველა ეს კაბინეტებს ეცნობათ.

ბელგრადი. ახალ კონსტიტუციის უმთავრესი დადგენილებანი ყველამ გაიგო. კონსტიტუცია უზრუნველჰყოფს ყველასათვის სრულს თანასწორობას და აზროვნების, სინიდისისა და სარწმუნოების თავისუფლებას. ბეჭდვითი სიტყვა სრულებით თავისუფალია და ექვემდებარება მხოლოდ წოდებათა წარმოდგენელთა სასამართლოს; უზრუნველყოფილია აგრეთვე თავისუფალი არჩევანი. ახალი სენატი შესდგება 51 წევრისაგან; მათ შორის ითვლებიან: პრინცი მეტროპოლიტი, ნიშის ეპისკოპოსი, 30 წევრი, რომელთაც ირჩევს მეფე და რომელნიც სიკვდილამდე რჩებიან წევრებად და 18 წევრი, რომელთაც დაფარულის კენჭის ყრით ირჩევენ თითო-თითოს ოლქები და ორსაც ქალაქი ბელგრადი. სასენატო არჩევანისათვის საჭირო ცენზი: 45 ფრანკი ამომრჩევლისათვის და 400—ასარჩევისათვის.

ბერლინი. იმპერატორს შუადღეზე წარუდგა ინგლისის საგანგებო დესპანი, რომელიც ედუარდის ტახტზე ასვლის გამოსაცხადებლად არის მოსული.

შანჰაი. საფინანსო უწყების თავმჯდომარეს მანჯურელ ცინრინს, რომელიც ეხლა სინანფუში მიდის, მიაქვს თან პეკინის ყველა მცხოვრებთა პეტიცია იმპერატორთან, რომელსაც სთხოვენ დაბრუნდეს პეკინში და აღადგინოს მშვიდობიანობა.

ლონდონი. როგორც კიტჩენერი დეპეშით იტყობინება პრეტორიიდან, ბლუმერმა დაიჭირა პიტერსბურგი და დავლათ აიღო ორი ლოკომოტივი და 39 ვაგონი. ბურებს დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ სმიტ-ფილდის ახლო, ბორმანსკოპთან ინგლისელებმა დაატყვევეს 16 ბური და დავლად აიღეს 50 ცხენი და სამხედრო სურსათი. ებერდინის ჩრდილოეთით ასამდე ულანსა და იომანრის ქალაქიდან 10 მილის მანძილზე თავს დაესხა 400 ბური. გათენებამდე ინგლისელები წინააღმდეგობას უწევდნენ, შემდეგ კი მათ ალყა შემოარტყეს და დაატყვევეს; თავს უშველია მხოლოდ 2 კაცმა.

კოპენჰაგენი. ინგლისის დედოფალი წავიდა დღეს საგანგებო მატარებლით. დედოფალი მიდის კრონბერგში გერმანიის ქვრივი დედოფლის სანახავად.

პეკინი. ლიხუნჩანგმა და ცინმა ცნობა მიიღეს, რომ იმპერატორი მეტად შეაწუხა მკვიდრე თუბერის, ამასთან სრული წლოვანი, სერბიის მიტროპოლიტი, ნიშის ეპისკოპოსი, 30 წევრი, რომელთაც ირჩევს მეფე და რომელნიც სიკვდილამდე რჩებიან წევრებად და 18 წევრი, რომელთაც დაფარულის კენჭის ყრით ირჩევენ თითო-თითოს ოლქები და ორსაც ქალაქი ბელგრადი სასენატო არჩევანისათვის საჭირო ცენზი: 45 ფრანკი ამომრჩევლისათვის და 400—ასარჩევისათვის.

ბერლინი. იმპერატორს შუადღეზე წარუდგა ინგლისის საგანგებო დესპანი, რომელიც ედუარდის ტახტზე ასვლის გამოსაცხადებლად არის მოსული.

შანჰაი. საფინანსო უწყების თავმჯდომარეს მანჯურელ ცინრინს, რომელიც ეხლა სინანფუში მიდის, მიაქვს თან პეკინის ყველა მცხოვრებთა პეტიცია იმპერატორთან, რომელსაც სთხოვენ დაბრუნდეს პეკინში და აღადგინოს მშვიდობიანობა.

ლონდონი. როგორც კიტჩენერი დეპეშით იტყობინება პრეტორიიდან, ბლუმერმა დაიჭირა პიტერსბურგი და დავლათ აიღო ორი ლოკომოტივი და 39 ვაგონი. ბურებს დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ სმიტ-ფილდის ახლო, ბორმანსკოპთან ინგლისელებმა დაატყვევეს 16 ბური და დავლად აიღეს 50 ცხენი და სამხედრო სურსათი. ებერდინის ჩრდილოეთით ასამდე ულანსა და იომანრის ქალაქიდან 10 მილის მანძილზე თავს დაესხა 400 ბური. გათენებამდე ინგლისელები წინააღმდეგობას უწევდნენ, შემდეგ კი მათ ალყა შემოარტყეს და დაატყვევეს; თავს უშველია მხოლოდ 2 კაცმა.

კოპენჰაგენი. ინგლისის დედოფალი წავიდა დღეს საგანგებო მატარებლით. დედოფალი მიდის კრონბერგში გერმანიის ქვრივი დედოფლის სანახავად.

პეკინი. ლიხუნჩანგმა და ცინმა ცნობა მიიღეს, რომ იმპერატორი მეტად შეაწუხა

ფელეტონი

ლოცვა სასუმელისა!

ენის ბოროტით ადშეფოთებულს, იმედ დაკარგულს,
ურწმუნოს, გულ განგმირულს და დავიწყებულს,
შენი სახე, ჭოი ქრისტეს, წარმომიდგება,
არი, სიმართლის, მოთმინების გამომეტ-ველი,
ულ გულს ნათელი სასიცოცხლო მოეფინება
ოგინებას დიდებულს წამს კვალად მოველი!

—

ულთ და ტანჯულთ მწარე ხვედრი შეგინებული,
ვალთ უმართლო მოქმედებით გამწარებული,
ის ოხვა, გულზვავობა ადტეინებული,
ზეცასა მაძიებლებს მივაპყრა თვალი
ნს, ნუგეშსა სანეტარო, ითრთოლებული
თალის სულის საიმედოთ მისკენ მოველი!..

დავიწყებული.

ბ ე დ ი ს - წ ე რ ა

(კატულ მენდესი)

I

ულეტა არის სოფლელი. სცხოვრობს
ა და კოპწიად მორთულ ქოხში. ერ-
, ზაფხულის ცხელ პაპანების დროს,
ეტამ გააღო ფანჯარა, გადაყო თავი
და გადასცქეროდა დაფიქრიანებული წყლის დუნედ მჩქეფარე ტალღებს, რომელთაც ზეწნის ჩეროში საოცნებო და საარაკო გზა გაეკვალათ. ცქრიალა ფიქრობდა ვალენტინზე, რომელიც ეს-ეს არის უნდა მოსულიყო, მაგრამ ჯერ კი არსად ჩნდა! რასაკვირველია, რომ დღემდის ვალენტინისათვის მის სახლის კარები დაკეტილი იყო და დღეს კი სულ სხვაა!.. რა ამბავია, რა მოხდა?..

„ჭოი საოცრებავ და პირველ შეყრის სატრფიალო და დაკრძალულო სურვილო!.. შევიყვარებ, თუ არა?! მოწყალის თვალით შეეხედავ, თუ გულ-გრილად? მივსცემ ნებას, დიდ-ხანს დარჩეს აქ, ჩვენსას, თუ მკაცრად ვუბრძანებ საუკუნოდ გამშორდეს.“

ჟულეტა ერთობ აღელვებულია. არ იცის, როგორ გადაწყვიტოს ეს მისთვის ერთობ რთული და საოცნებო საგანი, მაგრამ მაინც, როგორც კეთილ-გონიერი და მასთანვე უმანკო, უბრყვილო არსება, წინდაუხედავად თავის გულს არავის არ ანდობს და არ დაუთმობს. ამიტომაც დიდ რყევაშია. ბოლოს, როგორც იქმნა, გადაწყდა გადაუწყვეტელი: მის ჯერ უმანკო თავში იფეთქა რაღაც მოსაზრებამ: „მოვგლეჯ პავილიკს (ყვავილია), რომელიც ფანჯარას გარშემო სუროსავით ჩასწმახვნია, ჩაჰკონებია, და გადავაგდებ წყალში. თუ ყვავილი ცურვის დროს ან ქვას მოედვა და ან წყალზე დაშვებულ ტოტს, რა გაეწყობა, დავუთმობ ჩემს გულს; თუ არა—ესე იგი, თუ პიავილიკი დაუბრკოლებლად მიჰყვა წყლის დენას და მის ტალღებს, მაშინ კი უკაცრავად! ვეტყვი: საიდანაც მობრძანებულხართ, ნება გაქვთ იქითკენ მიბრძანდეთ მეტქი; ჩემთან არაფერი საქმე არ გაქვთ-მეთქი!“

აი, მოსწყვიტა მან ყვავილი, გადისროლა წყალში და ცქერად გადიქცა. ჰოი საოცრებავ! მიცურავს, მინავარდობს და მიეთამაშება წყლის ტალღებს პავილიკი; არავითარი დაბრკოლება წინ არ შეხვედრია! ჟულეტამ უყურა, უყურა, უყურა ყვავილს და მერე ერთავად გადიხარხარა: „საცოდავი!“

II

ეს ასე იყო, მაგრამ, სწორედ რომ ვსთქვათ, ჟულეტა მაინც სწუხს! ვითომ რატომ? ვალენტინი მეტად სანდომიანი არსებაა; ახლად ამწვანებული ნორჩი ულვაშები მეტად მოსახიბლავად ამშვენებენ მის გაბადრულ სახეს. მოქანცული და ყოველ ადამიანის ანდამატივით მიმზიდველი ფერფლისფერი თვალები სატფრიალო ზღვის მორევისკენ იტაცებენ თავის მსხვერპლს! ისეთი მადლიანია, რომ რაზედაც უნდა ლაპარაკობდეს, მის კილოში ისმის რაღაც ტკბილი, რაღაც მომჯადოებელი, ამაღელვებელი და ამაშფოთებელი და თან ჟრუანტელის მომგვრელი წკრიალა ზარის ხმა. გამოთქმა აქვს ისეთი საკვირველი, რომ, თუ მან ქალს უთხრა: „მიყვარხარ“,—გათავდა: ქალი სასწორს ჰკარგავს, თავის ნებას აღარ ეკუთვნის და თავისდა უნებურად მისკენ მიისწრაფის და ფათალოსავით ეკონება მის ვარდისფერ ბაგეებს.

ჟულეტა იმასაც კარგად ხედავს, თუ როგორ დასტრფიან მას ქალები, როგორ აღტაცებით და ხანგრძლივ უჭერენ მას ხელს. დიდი ბაიყუშებიც კი, რომელთაც თავისი თავი ერთობ მაღლა მოაქვთ, ისინიც კი არ თაკილობენ ვალსის ცეკვის დროს მაგრად მიიკრან გულზე ვალენტინი. რაც შეეხება ჟულეტას, ის, რასაკვირველია, გულწრფელად აღიარეს, რომ ერთობ იშვიათად შეჰხვედრია გულ-გრილად ვალენტინს და, ვინ იცის, იქნება გულში ჰსიამოვნებოდა კიდეც, პავილიკი რომ ქვას ან ტოტს მოსდებოდა! მაგრამ, მადლობა ღმერთს, ჟულეტას ბედზე, მისი სათნოება უმანკოდ და შეუხებლად დარჩა სხვა ქალწულების მაგალითად.

„მართლა, რა ბედნიერებაა, რომ ყვავილი არაფერს არ მოედვა!..“ უცბად მოაგონდა, რომ იმ წამში, როდესაც ის ყვავილს აგდებდა წყალში, ნიავმა დაუბერა, და ქარი ხომ ანგარიშში არ შედიოდა?! რომ ნიავი არა, ყვავილი იქნება სხვა ალაგას დაცემულიყო და მაშინ, ვინ იცის, რა მოხდებოდა!?

ჟულეტა პატიოსანი ქალია. მას არ ჰსურს

იმ ამბოხების ამბავმა, რომელიც ასტყდა მონგოლიისა და შენსის პროვინციებში და რომელსაც ტუნფუსიანი წინამძღვრობს. უკანასკნელი ცნობების მიხედვით, ტუნფუსიანს ჰყავს 11,000 კარგად გაწრთვნილი ჯარის კაცი; ის იმყოფება სიანფუდან 150 მილის მანძილზე.

პეკინი. 26 მარტს, ვალდერზეეს თავმჯდომარეობით, მოხდა გენერლების კრება, რომელმაც დაადგინა, რომ პეკინ-შანჰაიგუანის რკინის გზაზე ცხრა ადგილას 6000 ჯარის კაცი დააყენოს დიდის ხნით; ამას გარდა დაადგინა, რომ პეკინში 2000 კაცი დააყენოს და, თანახმად მოკავშირე სახელმწიფოების სურვილისა, ჩინეთში მყოფი მოკავშირე ჯარების რიცხვი შეამციროს; ხოლო პაოტინფუ-პეკინის რკინის გზა მხედველობის ქვეშ არ უნდა იმყოფებოდეს, რადგანაც ეს გზა ზღვისაკენ არ მიდის. გენერალი ჩაფფი და გენერალი ბოგაკი არ დაეთანხმნენ ამ აზრს. ჩაფფი ამბობდა, რომ საკმაოა პეკინსა და ზღვას შუა მხოლოდ ორი ადგილის დაჭერა, სახელდობრ იანძუნის და ტიანძინისა და სამი ადგილის დაჭერა ტიანძინსა და შანჰაი-გუანს შუა, რისთვისაც სულ 2000 კაციც საკმარისი იქნება, პეკინში მყოფ ჯარების გარდაო. ტონკუში, მისი აზრით, ჯარების დაყენება არაა საჭირო, რადგანაც იქ ყოველთვის სამხედრო გემები იმყოფებიანო. გენერალი ბოგაკი იმ აზრისა იყო, რომ მხოლოდ ტიანძინისა და შანჰაიგუნის დაჭერაა საჭირო, რისთვისაც სულ 2000 კაციცა კმარაო. უმეტესობის შეხედულებას წარუდგენენ ელჩებს და თანაც სთხოვენ, რომ დაუყოვნებლივ საჭირო ღონისძიება მიიღონ, რადგანაც გენერლები ჰფიქრობენ, რომ თუ ჩინეთმა ეს პირობები მიიღო და შანჰაიგუანის, ბეიდანის, ტაკუსი, ტონკუს, ბეიცანის და იანძუნის სიმაგრეებიც დაანგრია, ეს იქნება ჩინეთის სრული დამორჩილების ნიშანიო და მაშინ ჩინეთიდან ჯარის მომატებული ნაწილის გაყვანაც შესაძლებელი გახდებაო. შემდეგ გენერლებს თათბირი ჰქონდათ იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც ზავის ჩამოგდების შემდეგ უნდა მიიღონ, რათა უცხოეთის ჯარების მიერ დაჭერილი პეჩილიის პროვინციის ნაწილები ჩინეთის სამოქალაქო მმართველებს გადასცენ. დასასრულ, განიხილეს კიდევ სხვა საგნები, რომლებსაც უფრო მცირე მნიშვნელობა აქვთ.

ტოკიო. იოტის ოდენა სიმართლეც კი არ ურევია იმ ხმებში, ვითომც იაპონია საომრად ემზადებოდეს, ანუ ვისგანმე რასმეს თხოულობდნენ; იაპონია სრულიად მშვიდობიანად იქცევა.

(ადამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე.)

ჟურნალ-გაზეთებიდან

✿ ლონდონიდან რუსულ გაზ. «ნოვოსტის» შემდეგი დეპეშა მოჭსვლია:

«აქ ამბავი მოვიდა, რომ ბურებმა გენერალი ფრენჩი დაამარცხეს და რამდენიმე ზარბაზანი წაართვესო».

✿ ინგლ. გაზ. «დეილი მაილში» ამ ბოდის დროს იბეჭდება მკითხველებისაგან გამოგზავნილი წერილები რედაქციისადმი. ამ წერილების ავტორები პროტესტს აცხადებენ წინააღმდეგ იმ ზავის პირობებისა, რომლებიც ლორდ კიტჩენერმა წარუდგინა გენერალ ბოტას. მკითხველების აზრით ეს პირობები მეტად შედავათიანი პირობებია. მაგრამ ამავე გაზეთმა დაბეჭდა ერთი წერილი, რომლის ავტორიც სულ სხვა კიდობზე დაპარაკობს.

«მე მინდა ვაცნობო რედაქციას,—სწერს უცნობი ავტორი,—თუ რას ამბობენ ჩვენი ოფიცრები. რომლებიც ბრძოლის ველიდან დაბრუნდნენ. ესენი სულით და ხორცით დაცემულნი არიან და ამტკიცებენ, რომ ჩვენი სამხრეთ-აფრიკაში მყოფი ჯარი მალე სრულიად დაიქანცებაო. და თუ ეს მათი ცნობები მართალია, მე მგონია, ეხლა დრო იყოს, რომ ეს ამბები პირდაპირ საჯაროდ გამოვაცხადოთ ბურები არც დღე და არც ღამე არ ასვენებენ ჩვენს ჯარს, რომელიც მუდამ და დაუსრულებლივ ერთსა და იმავე ადგილას ბრუნდება და უმიზნოდ და უნაყოფოდ ერთს ადგილას იმყოფება; ბრძოლას არაკითარი თვალით დასანახი ნაყოფი არ მოაქვს. უკვლა ამ ამბებმა საბოლოოდ გული წაუხდინეს ჩვენს მამაც ჯარსაო. თუ თქვენ ამაზედ უპასუხებთ, რომ ოფიციალურის ცნობების მიხედვით, ინგლისის ჯარი მეტსა ჭიცავს ბურებს, ვიდრე ესენი ინგლისელებს, ამაზე ოფიცრები გიპასუხებენ, რომ მტირე შეტაკების დროს, რომელიც ეოველ ცისმარე დღეს ხდება, ჯერ თითქმის არც ერთი ბური არ მოუკლავთო. სამხედრო ცენზურა უკვლა მოსულ ამბებს გულ-მოდგინედ ცხრილში ატარებს და მხოლოდ იმ ამბებს აცხადებს, რომლებიც იმას ამტკიცებენ, რის დამტკიცებაც მთავრობასა ჭსურს არც ერთი დაწესებულება არ არის ისე მშვენივრად მოწყობილი, როგორც ცენზურა».

✿ კაგიდან სწერენ «პარი ნუველ»-ს, რომ პრეზიდენტ კრიუგერს განზრახვა აქვს მიჭმართოს პორტუგალიის მთავრობას მხურვალე პროტესტით იმის წინააღმდეგ, რომ პორტუგალიელები ცუდად ექცეოდნენ ლორენცო-მარკეზელან ლისაბონში წამოყვანილ ბურებსაო.

✿ ლისაბონიდან პარიზის გაზეთებს სწერენ შემდეგს:

«პორტუგალიაში მოვიდნენ ბურები და მათი გენერალი ბენაარი. თუმცა ეს ბურები ოითონ პორტუგალიის მთავრობამ მოიყვანა აქ ინგლისის ძალდატანებით, მით მაინც პორტუგალელები დიდის ამბითა და თანაგრძნობით მოეგებენენ და დიდი მნიშვნელობა გაუმართეს ბურებს. ხალხი დიდის პატივისცემით იხსენიებდა პრეზიდენტ კრიუგერს და სურვილს აცხადებდა, რომ ტრანსვაალის დამოუკიდებლობა დაცულ იქმნასო».

✿ ჩვენ უკვე მოგვანილი გვქონდა ცნობა იმის შესახებ, რომ ინგლისის მთავრობამ მკაცრი უარი გამოუცხადეს სამხრეთ-აფრიკის მოდგაწეებს, მერიმანსა და ზაუერს, რომლებსაც უნდოდათ პარლამენტისათვის სამხრეთ-აფრიკის ნამდვილი მდგომარეობის შესახებ მოეხსენებინათ. ამის გამო ირლანდიელებს შემდეგი პროექტი შეუდგენიათ: ერთმა ირლანდიელმა უარი უნდა განაცხადოს თავის ადგილზე და მისს მაგიერ მერიმანი აირჩიონ. ამნაირად კაბის ახალშენის კომიტეტის ერთ-ერთ წევრს შეძლებს მიეცემა გამოსთქვას პალატაში თავისი აზრი იმის შესახებ, თუ რანაირი მმართველობა უნდა დაწესდეს სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკებში. ირლანდიელების მეთაური ჯონ რედმონდი და მისი ამხანაგები თანაგრძნობით მიეგებენენ ამ პროექტს, რომელიც, ალბად, შესრულებულიც იქმნება.

✿ ამ დღეებში ბურბონის სასახლეში მოხდა კრება იმ დეპუტატების ჯგუფისა, რომლებსაც ჭსურთ, რომ შემოსავალზე გადასახადი დაწესონ. ამ ჯგუფის მიერ ამორჩეულმა კომისიამ შეიმუშავა პროექტი შემოსავალზე გადასახადისა: კრებამ ეს პროექტი განიხილა. ამ პროექტში შეტანილია ის საზოგადო საფუძვლები, რომლებიც წინად დუმერისა, კავენიაკისა, კლიოსი, კლოტცისა და სხვ. პროექტებში იყო შეტანილი. უმთავრესი საფუძვლები ამ პროექტისა შემდეგია: 1) უნდა შემოღებულ იქმნას საზოგადო და პროგრესიული გადასახადი შემოსავალზე. 2) უნდა მოსპობილ იქმნას ოთხი პირდაპირი გადასახადი. ამ პროექტის თანხმად იმ შემოსავალს, რომლის წაართმევს შრომა, ანუ შრომა და კაპიტალი ერთად, გადასახადი არ დაედება. შემდეგ გადასახადის რაოდენობა შეიცვლება ეოველი მოხარჯის ოჯახობრივი მდგომარეობის დაგვარად. 1500 ფრანკზე მტირე შემოსავალს გადასახადი არ დაედება. ამ პროექტს შეიტანენ პალატაში, როდესაც პალატა ოთხი პირდაპირი გადასახადის განხილვას შეუდგება.

✿ მაკედონიის კონგრესი ამ მარტის გასულს უნდა შეკრებილიეო, მაგრამ ბოდგარიის მთავრობამ დიდი სახელმწიფოების გაგლენით იმოქმედა კომიტეტის წევრებზე და კონგრესის შეკრება ივლისამდე გადადებინა. ეხლა ასახებ ვენის კაზ. «ნეუე ფრეიე პრესი» ფიიდან შემდეგი დეპეშა მოუსვლია: „მაკედონიის პროვინციათა-ერთობის კომიტეტი კონსტანტინოპოლში—ეხლა ადმდეგ, ამიტომ ეხლა გადასწყვიტეს 1 შეკრიბონ კონგრესი».

✿ მაკედონიის კომიტეტის გაზეთმ „რმა» გამოაცხადა შემდეგი ცნობები თის სახელმწიფოების საიდუმლო კავშირ ხებ.

ეს გაზეთი ამტკიცებს, რომ სერბიას ნოგორიასა და ბოდგარიას შუა მართლ ლი კავშირი იყო შეკრული, რომელსაც მეფე ალექსანდრე სოფიაში მოვიდა 18 სო. ამ კავშირის მიზანი იყო—მა გაეყოფა სამ მოკავშირეთა შუა. სერბიას მა დასავლეთი ნაწილი უნდა მიეღო. მაგრა რია გამოვიდა კავშირიდან, რადგანაც ბოდ არ მოსწონდათ ამ ნაირი განაწილება. დეგ, როცა გამოაშკარავდა ავსტრო-უ მისწრაფებანი ბალკანეთის ნახევარ კუნძულ ხელმეორედ მოინდომეს კავშირის გ მაგრამ ბოდგარიამ უარი განაცხადა. გაზეთები მეტად მკაცრად ჭკიცხავენ რიას ამ უარის გულისათვის: ისინი ბიან ბოდგარიას, რომ სერბია და ჩერ შეერთდებიან, ოსმალეთს მიეკედლებიან ნი ერთად ბოდგარიის წინააღმდეგ ომ ბენო.

ახალი ამბავი

✦ როგორც შევიტყვეთ, გარდ ბულ კონსტანტინე იაკობის ძე ზ შვილს ტფილისის სახალხო სახლ უანდერძებია 100,000 მან.

✦ კავკასიის სასოფლო სამეურნ ზოგადოების საბჭომ მისწერა ამ დ სხვა და სხვა დაწესებულებებს, რომ ნაც მიწად მოქმედების სამინისტრომ დაამტკიცა კავკასიის სამეურნეო-სამ ლო გამოფენის პროგრამმა, დაევალ წარმომადგენელთ, რომ ეხლავე ლეობა მიიღონ „გამოფენის გამგე-მ ბელ კომიტეტის სხდომებზედ გამ შესახებ სხვა და სხვა საკითხების გან ველ-დასამტკიცებლადაო.

✦ სამშაბათს, 27 მარტს, კავკასი მეურნეო საზოგადოების სადგომში ქონდა კავკასიის მომავალ გამოფენის მ ბელ კომიტეტს. სხდომაზე განიხილეს ი შიმკევიჩისაგან შედგენილი პავილიო გეგმა და „გამოფენის შემოსავალ-გ ხარჯთ-აღრიცხვა. გეგმის დამტკიცებ

და არც უნდა, აქ რაიმე გაიძვერობა მოხდეს და ამიტომაც კიდევ სცდის (ახალ საცდელს). მან შენიშნა წყალს გაღმა ტოროლა, რომელიც იასამანს თავს დასტრიალებდა თუ ჩიტი ეაჯდა იასამანზე, მაშინ ის სიამოვნებით მიიღებს ვალენტინს, და თუ აფრინდა, მშვიდობით! ვალენტინისთვის ყველა იმედი დაკარგულია. როგორც კი ეს მოიფიქრა, ვალენტინმა, ტოროლამ, გაშალა მაშინვე ფრთა, გაჰკრა, გააპო ჰაერი და ტრიალით სადღაც ცის სივრცეში მიიმალა მის თვალისწინ!

„საუცხოოა! თვით ბედი მამხნევებს დავიცვა ჩემი კრძალულება და თანშობილი სინაზე“! კეთილი, ძალიან კეთილი! უმანკო არსება მაინც ნაზად ოხრავს, მაგრამ ეს ხომ სიამოვნების შედეგია!

III

„გათავდა. ფუჭია ვალენტინის იმედები. ამაო იქნება მისი მუხლებზე დგომა და ხვეწნა, ჩურჩული და ოხვრა, რომ მას ჟულეტა უყვარს და საფლავამდის მისი განუშორებელი და ერთგული მეგობარი იქნება. ჟულეტა ეხლა გულგრილად შეხვდება მას და წყრომის თვალითაც კი უჩვენებს, რომ დაუყოვნებლივ გულ-ხელ დაკრეფილი და იმედ მიღებული გაბრძანდეს მის სახლიდან. მართალია—ეა ჟულეტაც ამ აზრის არის—რომ მისთვის ასეთი სიმკაცრის გამოჩენა ადვილი არ იქნება, მაგრამ... რატომ არ იქნება? ვალენტინს აქვს ისეთი ნიჭი, რომ ის უეჭველად მოხიბლავს ქალს თავის დაჟინებულის მუდარებით, რომელშიაც რაღაც დაუსრულებელი და სიტკბოების მომცემი, მათრობელი ხმა ისმის! რაც უნდა გულ-გრილი და გულქვა იყოს ქალი, მის მინაზებულად მომხიბვლელ სიტყვას და მის კილოს ვერ წინააღუდგება!.. ამის შემდეგ რაღაც შესაზარმა ფიქრმა მოიცვა ჟულეტა: მან რომ უარი უთხრას და ვალენტინმა სხვა შეიყვაროს?... ეს ისეთი წამი იყო ჟულეტასთვის, რომ კინაღამ გული საგულედან ამოუვარდა და თვალები ხომ სულ ცრემლით აევსო! ის მრისხანედ სცემს იატაკზე ფეხებს, უწყრება მეტოქეს, ხელებს შლის, თითქო ეს არის უნდა მივარდეს იმ შეჩვენებულს და სულ ცხვირ-პირი დააკაწროსო... მაგრამ მაინც თავი შეიკავა და ნელ-ნელა დაწყნარდა. ვინც უნდა, ის შეიყვაროს, ჟულეტასთვის სულ ერთია: ის ბედის განჩინების წინააღმდეგ არ წავა! მაინც რომ აზრი არ შეეცვალოს და განსაცდელს შორს მოუაროს, ჟულეტამ გარდასწყვიტა აღარ დაუცადოს ვალენტინს და სახლში აღარ დახვდეს. ამიტომაც აჩქარებით წამოისხა მანტილა, დაიხურა შლიაპა, გააღო კარი და კიბეზე ჩასასვლელად მოემზადა, მაგრამ ამ დროს ფანჯარასთან მოესმა ბავშვების კივილ-კიჟინი და სიცილი. უეცრად რაღაც აზრმა გაუელვა, ისევ შემობრუნდა ოთახში და ფანჯრიდან გადახედა: წყლის ნაპირას ბავშვები შეგროვილან, ხტიან, ყირაზე გადადიან და ქვებით ჩიტებს აფრთხობენ. „ააა“! სწორედ მე დღეს ბედი რაღაც არ მწყალობს“, სთქვა ჟულეტამ. „თითქო ყველაფერი ჩემ წინააღმდეგ შეჭურვილა! აქ ცხადად სჩანს, რომ ტოროლა ამ უხიაკ ცელქების წყალობით გაფრენილა!“

ეხლა კი უეჭველს საშუალებას იხმარს. დაკეტა ფანჯრები, რომ ქარიც თავიდან მოიშოროს და იმ მოუსვენარ ცელქების ხმაც არ ისმოდეს. მოსძებნა სადღაც თავის საკუჭნაო კოლოფში და ამოიღო პუდრით შეთხუპნული შურთხის ნაკრტენი, ამოგლიჯა იქიდან ბურტყლი, მოიხსნა თმიდან ვარდის ფერი ლენტი, ასწონა ორივე ხელში, ისროლა ზევით რაც ძალი და ღონე ჰქონდა და ჩაუთქვა: „ვალენტინის ხვეწნას მხოლოდ მაშინ შევიწყნარებ, თუ ლენტი უწინ დაეცემა ხალიჩაზე! თუ ბურტყლმა ჩამოასწრო, მაშინ კი უწყალოდ და შეუბრალებლად უარვყოფ ვალენტინის ვედრებას“!—თქვენ კი ნუ გეგონებათ, ვითომ ლენტი ბურტყლზე მძიმე იყოს. არა, ჟულეტამ სინიდისიანად ასწონა ორივე და დარწმუნდა, რომ ორივე ერთის სიმძიმის იყო!

და, აი, ორი ფშხვნადი მოსამართლე შეიქმნენ ჟულეტას ბედის მსაჯულად! ორივე საგანი დაიძრა ქვევითკენ. მოდიან ნელა ტრიალით ჰაერში. ჩამოასწრო ლ ბურტყლს. საშინელ განსაცდელშია ტა: ნუ-თუ ბედი მოსთხოვს მას—არ აღუდგეს ვალენტინს და იძულებული ქმნეს მისმა ვარდის-ფერმა ბაგეებმა ტინის ნორჩ ულვაშების ქვეშ იგრძნ მათბობელი ღიტინი? საოცარი მდგომ ბაა? წასასვლელი გზა არსაით არის! აი, ლენტი გაიშალა და უფრო ნელა დის, ბურტყლი კი ტყვიასავით მ შეწუხებული ჟულეტა მუხლებზე დ რომ უფრო გარკვევით გამოიძიოს თ ბედის-წერის ამბავი. ბურტყლი უფრ უფრო ძირს მოდის! ჟულეტა დაიხარა, გაფაციცებით ადევნოს თვალი და ხან შვებით სუნთქავს.

„გამარჯვება, გამარჯვება! ლენტი მოდის, ბურტყლი კი აი, აი, ეხლავ დაეცემა!..“

ეჰა საშინელებავ! ჟულეტამ გამარ მორევში შეტოპა, სულმა არ მოუ სუნთქვა ველარ შეიკავა! მისდა სამწუხ —დიახ, მისდა დიდ სამწუხაროდ,—ბ ყლი ისევ ზევით აცურდა და ლენტ ვარდის ფერ ჰეპელასავით ხალის ერ მოხატულობაზე დაეშვა. „ნუ თუ მომისაჯა ასეთი მძიმე მსხვერპლი შ რო ვალენტინს. ეს ჩემი ბრალი არ ა სინაზის სიღრმიდან ამოიოხრა ჟულეტ

ს. ქ

კომიტეტმა ჯერ შემოსავლის წყაროებ-
ნიხილა. როგორც უკვე გვქონდა აღ-
ული, შემოსულია: მიწად-მოქმედების
ისტროსაგან 4,000 მან., მთავარმარ-
ისაგან და შავი-ქვის მწარმოებელ თა-
7,000 მან., ქ. ბაქოსაგან—3,000 მ.,
ლისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან—
მან.. ქ. ტფილისისაგან 10,000 მან.,
ლისწულო უწყებისაგან—3,000 მან.,
ს მწარმოებელთაგან—5000 მან., სხვა-
ვა ბანკებისა და საკრედიტო დაწესე-
ებათაგან—5,000 მან., კერძო ექსპრო-
ების საკუთარ პავილიონებისათვის და-
ილ ადგილებიდან—4,000 მან., ფარ-
ების ქირისაგან—5,000 მან., იმ განა-
ებებიდან, რომელნიც კატალოგში იქ-
ნ მოქცეულნი—500 მან., კატალო-
და გზის მაჩვენებელის გაყიდვისაგან
მან., შესასვლელ ბილეთებისა და
ნემენტო წიგნაკების გაყიდვისაგან—
00 მან., ბუფეტის შემოსავლიდან—
2,000 მან., გაყიდულ ექსპონატებისა-
1000 მან. და სხვა, სულ შემოსავალი
ბა კომიტეტს—90,000 მ., გასავალი:
ფენის მომწყობელ ბიუროს მოსამსახუ-
ხარჯი—6000 მ., ადგილობრივ კომი-
ების ხარჯი სოჯახო მრეწველთა მოწვე-
ვის—1000 მან. გამოფენის მოედნისა,
ილესი და სხვ. მოწყობა დაჯდება—
მან., პავილიონების შენობები—
00 მან., განათება—3000 მან., სხვა
ხვა განყოფილების მოწყობა—1,000
ბუფეტისა, სცენისა და მემუსიკეთა
დგომ ადგილის მოწყობა—10,000 მ.,
თობები, მუსიკა და სხვა—4000 მან.,
კონტროლს, მუშების ქირა და სხვა
ლმანი—5,000 მან. კომიტეტის აზრით,
ალი ბევრად მეტი იქნება შემოსავალ-
და ამიტომ მას განზრახვა აქვს შუამდ-
ობა აღძრას სხვა და სხვა დაწესებუ-
ებთან შემწეობის აღმოჩენის შესახებ.
ფენის ხარჯისა და ზოგიერთ საკითხების
�ოდ განსახილველად კომიტეტს სხდო-
ნება დღეს, 29 მარტს, ნაშუადღევის
თზე, სამეურნეო საზოგადოების და-
ი.

ტფილისის ქალაქის საბჭოს 26 მარ-
დადგენილებას ქალაქის ხმოსნების ერთ
ევნო კრებაზე ამორჩევის შესახებ ქა-
ს გამგეობა 3 აპრილს წარუდგენს
ლისის გუბერნატორის თანამდებობის
სრულებელს.

მიწად-მოქმედების დეპარტამენტის
რგულებით იმის გასაგებათ, თუ სად
ორ იხარებს ჩაის ხე დაურიგეს
ისის გუბერნიაში, ოზურგეთის მაზრა-
კერძო პირებს და სკოლებს ჩაის ნერ-
ს. გოგორეთში (ნატანებსა და ოზურ-
შუა) აზ. ქარცივაძეს, ს. კახირაში
ურგეთიდან 4 ვერსტის მანძილზე) აზ.
ლომიძეს, ს. მაკვანეთში—სკოლას, ამა-
ოველში—თ. ე. ნაკაშიძეს, ს. დუაბ-
—ჩხატარაიშვილს, ს. ბახვში—სკო-
ს. ბურისციხეში—შარაშიძეების კერ-
კოლას, ს. ნიგოითში და ქუთაისის
ელ მინდორს. დარიგებული ნერგები
ელ ჩინური თესლისა იყო; მიმდინარე
კი განზრახვა აქვთ „კანგრა“-ც სცა-

1902 წელს სრულდება 30 წელიწა-
ს შემდეგ, რაც დაარსდა ლაზარევის
ტუტის სპეციალური კლასები. ამი-
ხსენებულ ინსტიტუტის საბჭო სთხოვს
ირთ, ვისაც ეს კლასები გაუთავებია,
ყობინონ მას შემდეგი ცნობები: 1)
ლი, მამის სახელი და გვარი; 2) რო-
გაათავა კურსი და 3) ეხლა რა ადგილი
ავს. პასუხს მადლობით მიიღებს საბ-
და დაბეჭდავს „ინსტიტუტის სპეციალ-
კლასების ისტორიაში“.

გასულ წელს ბათუმიდან და ფოთი-
გაუზიდავთ 30.222,348 ფუთი მარ-
ი.

ქ. გორის თვითმმართველობამ წარ-
დგინა გუბერნატორს საქალაქო ქსე-
ს ინსტრუქციის პროექტი. სხვათა
შორის, ამ ინსტრუქციის ძალით, ღარიბ ავათმყოფს შეუძლიან უფასოდ ისარგებლოს საავადმყოფოთი 3 დღის განმავლობაში.

✦ ქ. გორის თვით-მმართველობა შეეკითხა ფინანსთა სამინისტროს: გადახდეს თუ არა ჯარიმა იმ მოქალაქეთაც, რომელნიც იხდიან ქალიქის სასარგებლოდ არა უმეტეს 50 კ. და დროზედ არ შემოუტანიათ ეს გადასახადი. ფინანსთა სამინისტროს აზრით, ჯარიმა არ გადახდებათ იმისთანა მოქალაქეთ, თუ მათზე დარჩენილია მხოლოდ ერთი წლის გადასახადი.

✦ ქალაქ გორის წარმომადგენელთა ერთ-ერთ უკანასკნელ სხდომაზე განუხილავთ კითხვა შესახებ პროფესიონალურ სკოლის გახსნისა ქ. გორში. პრინციპიალურად ყველამ თანაგრძნობა გამოუცხადა ამ საქმისა და აირჩიეს კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს როგორც ტიპი სკოლისა, ისე წყარო სკოლისათვის საჭირო საშუალებისა.

✦ ტფილისის ქალაქის საბჭოს შემდეგი სხდომა დანიშნულია 9 აპრილისათვის.

✦ პეტერბურგიდან იტყობინებიან, რომ ფინანსთა სამინისტროს განზრახვა აქვს გაათანასწოროს სახაზინო რკინის გზებზედ ფქვილისა და ხორბლის ტარიფი.

✦ თელავის მაზრის სამხედრო ბეგრის უფროსის საქმის მწარმოებელს სტანიშევსკის, რომელიც დამნაშავედ იცნო კავკასიის ოლქის სამხედრო სასამართლომ, საკასაციო პროტესტი შეუტანია უმთავრეს სამხედრო სასამართლოში.

✦ გუშინ, 28 მარტს, ინჟენ. მიხაილოვმა განუცხადა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ მან დააარსა ტფილისში „ქუთაისის წყლის მილის ამხანაგობა“.

✦ ქალაქის სკოლების ღარიბ მოსწავლეთა შემწე საზოგადოების კომიტეტის წევრებს გადაუწყვეტიათ თავიდან მოიშორონ ხსენებულ კომიტეტის წევრობა (საქმეს ვერ აუვიდენ?!): ამიტომ ამ მოკლე ხანში მოხდება საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება.

✦ მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის განკარგულებით სოხუმის ოლქის ტყეებში კერძო პირებს არ შეეძლებათ სამთა-მადნო მრეწველობის წარმოება.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობას გადაუწყვეტია გაუმართოს ქალაქის მუშებს გასახსნილებელი სუფრა. ესეთივე სუფრა უნდა გამართონ ორ ღამის გასათევ თავშესაფარში, მაგრამ საუბედუროთ ფული ცოტა აქვთ ამ საქმისთვის.

✦ მომრიგებელმა მოსამართლემ გადასცა გამომძიებელს სარქისოვისა და ლუკიანოვის ქალის საქმე.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ლუკიანოვისამ გოგირდის სიმჟავე შეასხა სარქისოვს, როცა ეს უკანასკნელი ჯვარის დასაწერად იყო ეკლესიაში. სარქისოვი აბრალებს ლუკიანოვისას თავის დაძახინჯებას. ექსპერტის მოწმობით კი, სარქისოვი სრულებით არ არის დამახინჯებული.

✦ დ. ყვირილიდან გვწერენ: „25 მარტს აქაურმა სცენის-მოყვარეებმა გამართეს ქართული წარმოდგენა. წარმოადგინეს დ. მესხის მიერ გადმოკეთებული „სიკოია დენჩიკი“. როლების უცოდინარობის გამო წარმოდგენამ სუსტად ჩაიარა. დასასრულ წაიკითხეს რამდენიმე ლექსი. ხალხი საკმაოდ დაესწრო წარმოდგენას, მაგრამ საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ამ საქმეს, რათა ხალხი არ გადავაჩვიოთ თეატრში სიარულს“.

✦ სოფ. ბალდიდან (სენაკის მაზრა) გვწერენ: „ძლივს ველირსეთ 1897 წელს სკოლის დაარსებას. პირველში საქმე კარგად მიდიოდა, მაგრამ მალე მასწავლებელმა თავი დაგვანება და მას შემდეგ სკოლა დაკეტილია. არ იქნა და ვერ მოვაწყვეთ ეს ჩვენის დროისათვის მეტად საჭირო საქმე“.

✦ სოფ. ნაგუთნში (გორის მაზრა) 10 მარტს შ. დუსოშვილის სახლი დამწვარა და დაღუპულა ხსენებულ დუსოშვილის მოხუცი დედა და 6 წლის პატარა ქალი („კავკაზი“).

✦ ქალაქის გამგეობამ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა, რომ ქალაქის სავაჭრო პოლიციის აგენტებს ხელზე ბევრი ფული არ მოუგროვდეთ ამ დღესასწაულებზე, ქალაქის კასაში ფულის შესატანად დაინიშნოს პარასკევი და შაბათი საღამოს 6—7 საათამდე და ორშაბათს 11—12 საათამდე, ხოლო ამავე დღეებში მეონკანებისათვის დანიშნული იქმნება ფულების შესატან დროდ დილის 10—11 საათამდე.

✦ კავკასიის საექიმო სამმართველომ შეატყობინა გუბერნატორს, რომ მან დაამტკიცა სოფ. ალევის (გორის მაზრა) ქსენონის ინსტრუქცია.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობისათვის უთხოვია ერთ მოქალაქეთაგანს გადაეცეს მას ქუჩების დაგვისა და მორწყვის საქმე.

✦ ეს ორი დღეა ტფილისში ჩრდილოეთ სამხრეთის ძლიერი ცივ ქარი ქრის, რაც, რაღა თქმა უნდა, მეტად გააფუჭებს ახლად გამოსულს აკოკრებულს ხეხილეულობას.

✦ „სვეტ“-ის ამხანაგობას განუცხადებია ტფილისის ქალაქის გამგეობისათვის, რომ იგი მზად არის მისცეს ქალაქს მისთვის საჭირო ნავთი ფუთი—1 მ. 50 კ.

✦ გუშინ ტრამვაის კომისიის თავმჯდომარე სულხანოვი, ქალაქის ტეხნიკის შახნაზაროვი და ბ. რობი შეუდგნენ ტრამვაის გზების დათვალიერებას.

✦ ტფილისის პოლიცმეისტერმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, აიღონ ქალაქის „ბუდკები“ გოლოვინის პროსპეკტსა და ჭავჭავაძის ქუჩის კუთხეზე.

✦ ტფილისის ოლქის სასამართლოს მოუვიდა საქმე „ჩრდილოეთ დამზღვევ საზოგადოების“ ყოფილ აგენტის ლაზარე აპიანცისა.

✦ სამშაბათს, 27 მარტს, საღამოს 10 საათზე, პოლიციის პირველს ნაწილში პოლიციის მოხელემ მიიყვანა 5 დღის დაბადებული ჩვრებში გახვეული სამხედრო ოლქის სასამართლოსთან მიგდებული ბავშვი. ბავშვი ტფილისის ოლგას საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს. პოლიციამ ზომები მიიღო ბავშვის მიგდებაში დამნაშავეთა აღმოსაჩენად.

✦ სამშაბათს, 27 მარტს, საღამოს 7 საათზე, მადათოვის ქუჩაზე, ტფილისის მოქალაქე დავით ივანესძე ემინოვი საკუთარ ეტლით წამოეწია სპარსეთის ქვეშევრდომს მუშას ზაქარია აკოფოვს, რომელიც ეტლმა ქვეშ მოიტანა და დაშავა. დაშავებული ტფილისის მიხეილის სამკურნალოში იქმნა გაგზავნილი, ხოლო დამნაშავე მეეტლე ემინოვისა ალექსანდრე აბრამოვი პასუხის გებაში იქმნა მიცემული.

ქუთაისის საბჭოს კრება.

რადგანაც 26 მარტს დანიშნული იყო ქალაქის თავის არჩევნები, ხმოსნები ბლომად და ადრე შეიკრიბნენ. კრება დაიწყო 7 საათზე, ი. გ. ჩიმაკაძის თავმჯდომარეობით. უკანასკნელმა მოახსენა საბჭოს ხმოსნის ა. ნ. აბდუშელიშვილის და ყოფილ ხმოსნის ი. პურადოვის გარდაცვალება. კრებამ ფეხზე წამოდგომით პატივი სცა მიცვალებულებს და შემდეგ შეუდგა მორიგ საქმეების განხილვას. საბჭოს წარსული კრების ოქმის დამტკიცების შემდეგ მოიხსმინეს ხიდების იჯარით გაცემის საქმე. საჯაროვაჭრობაზე ხიდები დაირჩინა უწინდელმა მოიჯარადრემ ბ. პატარიძემ, რომელმაც წესისამებრ წარუდგინა გამგეობას ხვედრი ფული და საჭირო „გერბის“ ქაღალდი პირობის დასაწერად. ჯერ კიდევ არ ყოფილა შეკრული პატარიძესთან ხელწერილი, რომ ბერძენმა ჩილინგაროვმა წარმოუდგინა გამგეობას ქალაქისათვის უფრო სასარგებლო წინადადება. გამგეობამ, მიიღო რა მხედველობაში, რომ ხელრილი პატარიძესთან კიდევ არ ყოფილა დაწერილი, დაუბრუნა მას წარმოდგენილი ფული და ქაღალდი და შეეკრა პირობით ჩილინგაროვს. ეს გარდაწყვეტილება გამგეობისა პატარიძემ განასაჩივრა საბჭოს წინაშე, მაგრამ საბჭომ უყურადღებოდ დასტოვა ეს საჩივარი და დაამტკიცა ქალაქის გამგეობის გარდაწყვეტილება. საქალაქო საქმეთა საკრებულო არ დაეთანხმა საბჭოს და გააუქმა იმის განაჩენი; ამასთან ვე მოსწერა საბჭოს—ჩამოერთვას ჩილინგაროვს ხიდები და გარდაეცეს ბატარიძეს. ეს გარდაწყვეტილება საკრებულოსი საბჭოს მინდობილობით განიხილა კრებამ კომისიამ. ქალაქის გამგეობის და საბჭოს განაჩენი კანონიერად იცნო საბჭომ და, თანახმად კომისიის რჩევისა, დაადგინა განსაჩივრება საკრებულოს განაჩენისა. ჩილინგაროვი იძლევა 16,200 მანეთს, ორი ათასამდე მეტს პატარაძეზე.

ამის შემდეგ საბჭომ დაამტკიცა წინადადება ცეცხლის მქრობელ რაზმის მოსამსახურეთა დაზღვევის შესახებ და აგრეთვე ქალაქის ამ წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

საბჭ-მ განიხილა აგრეთვე რამდენიმე თხოვნა დახმარების შესახებ, უყურადღებოდ დასტოვა ისინი და შეუდგა იმ საქმეს, რომელმაც შეჰკრიბა ამოდენა ხმოსნები (კრებას დაესწრო 55 ხმოსანი) და ბევრი გარეშე პირებიც. საბჭო შეუდგა ქალაქის თავის არჩევის საქმეს.

„რადგანაც ბ. ზდანოვიჩი, ბრძანა თავმჯდომარემ, წერილობით უარს აცხადებს კანდიტადობაზე, მე მგონია, მეტია, განვიხილოთ საბჭოს ოფიციალურ კრებაზე ცხრა ხმოსანთა წინადადება იმის შესახებ, თუ რამდენად შესაძლებელია ქალაქის მოურავის და მარგანეცის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობის შეერთება“. საბჭო დაეთანხმა ბ. ჩიმაკაძეს და არ განიხილა ამ ცხრა ხმოსნის წინადადება.

ბოლოს გაიმართა კამათი ხმოსანთა შორის ქალაქის თავის არჩევნების შესახებ. ზოგი თხოულობს არჩევნების გადადებას და ღირსეული კაცის მოძებნას, ზოგი კი გაიძახის, რომ საჭოს კერძო კრებაზე დასახელებულთა შორის არიან კიდევ ორი ბ.ბ. ხელთუფლიშვილი და ქიქოძე, რომელთაც უარი არ განუცხადებიათ ქალაქის თავის კანდიდატობაზე და რომელთაც შეუძლიათ დაიდგან ყუთი. ბ-ნი ს. ბ. თოფურია ამტკიცებს, რომ საჭიროა არჩევნების გადადება და ყოველ მხრივ გარჩევა ჩვენი ღარიბი ქალაქის მდგომარეობისა და მომავალი კანდიდატის ღირსებისა. ბბ. ხელთუფლიშვილმა და ქიქოძემ უარი განაცხადეს ქალაქის თავის კანდიდატობაზე. შემდეგ ამისა რამოდენიმე ხმოსნის თხოვნით უყარეს კენჭი კითხვას: გადაიდვეს თუ არა არჩევნებიო, და 45 ხმის უმეტესობით წინაალმდეგ 8-სა არჩევნები გადაიდვა 30 აპრილისათვის.

დ. მ.

პროვინცია

ქუთაისი. კენჭობიის მოუვარე ქუთაურთ ძალიან საწყენად დარჩათ, რომ მოდიდინი გაუტრუნდათ და ვეღარ დასტკბნენ ჩვეულებრივად არჩევნების ამბავ-ხალბრით. დიდი მითქმა-მოთქმა და მზადება დიდს სეირს უმზადებდა ხსენებულ კენჭობიის მოუვარეთ ქალაქის თავის არჩევნების გამო, მაგრამ, მათდა სამწუხაროდ, არჩევნები არ შესდგა და გადაიდვა ერთის თვით. ქუთაურები ეხლა თავს იმით ინუგეშებენ, რომ ერთის თვის განმავლობაში საქმე უფრო აიწყო-დაიწყება და. . «ვინ იცის კიდევ—რა გამოვა რისაგან?!» ქალაქის მოურავობასაც ბევრი მოისურვებს, კანდიდატებისა და პარტიების რიცხვიც გამრავდება და აირევა მონასტერი! სკვირველი ის არის კიდევ, რომ სწორედ ეხლა დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან ერთი ძველი მოდვაწე, რომელიც ოფველთვის დიდის სიამოვნებით იდგამს ხოლმე ეუთს ოფველგვარ თანამდებობაზე... ჭორები და მითქმა-მოთქმა ბევრია, მაგრამ ნამდვილად კი მხოლოდ ის ფაქტებიდარჩება, რომ ბ-ნმა გ. ზდანოვიჩმა კატეგორიული უარი სთქვა კანდიდატობაზე, კანდიდატად რჩება ბ-ნი ქიქოძე და ეხლა ასახელებენ კიდევ თვ. ანდრია ერისთავს... «ვინც იცოცხლებს, ის ნახავსო»,—ამბობენ ფრანგები და ერთ თვეს ხომ ყველანი ვიცოცხლებთ და, მაშასადმე, ვნახავთ კიდეც, რაც იქნება...

არჩევნები უნდა ოფიციალიურ აგრეთვე ჩვენს საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაშიაც, მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრამ კრებაზე არ გამოცხადდა კანონიერი რიცხვი (480 წევრის მაგიერ მოვიდა მხოლოდ 150) და კრება აქაც გადიდვა.

როგორც სჩანს საზოგადოების ანგარიშიდან, ბანკს 1900 წელს კარგად უმუშავნია. სულ საანგარიშო წლის განმავლობაში დაუტრიალებია 56.395,532 მან. 18 კაპ.; წმინდა მოგება ჰქონია 26,270 მან. 73 კაპ.; დივიდენდათ ერგება ოთვულ წევრს 100 მანეთზე ერთი თუმანი და ბრემიადაც 2 მ. 48 კაპ. ოთვულ ას მან. გაცემულ და მიღებულ სარგებლისა; სათადარიგო თანხა ავიდა 46.437 მანეთამდე; ხოლო სტენოგრ. და სახელოსნო სწავლის გაძღიერებისთვის დაარსებული ფონდია 26. 160 მანათი. ბ.

ბათუმი. 25 მარტს ბათუმის საურთიერთო საკრედიტო საზოგადოებას ჰქონდა წლიური კრება. კრება გახსნა სადამოს 5 საათზე საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარემ ბ. გრ. ვოლკომ, რომლის წინადადებით კრების თავმჯდომარედ ერთხმად ამორჩეულ იქმნა ბოდბოლკ. ნიკ. დუმბაძე. ოავდაბერველად კრებას მოახსენდა სარევიზიო კომისიის მოხსენება, რომლისაგან სჩანდა, რომ საზოგადოების საქმეები საუკეთესოდ წესრიგით მიმდინარეობენ. შემდეგ საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარემ ბ. გრ. ვოლკომ წაიკითხა დადგენილება საბჭოსი, რომელშიაც აღნიშნული იყო კომგეობის მუყაითობა და უნაკლულოდ საქმის გაძღოლა. შემდგომ ამისა საზოგადოების კომგეობის თავმჯდომარემ ი. ბ. შბოლიანსკიმ მოახსენა კრებას, რომ მიუხედავათ იმისა, რომ წარსულ წელს საზოგადო საფინანსო კრიზისი იყო, საზოგადოების მდგომარეობა მაინც გაუმჯობესდა, რაც წარმოდგენილ ანგარიშიდანაც ცხადათ სჩანსო. სიმართლე ამისა იმითაც მტკიცდება, რომ საანგარიშო წლის დივიდენდი გაცილებით მეტია წინა წლებისაზე და ფულიც მეტი დატრიალებულა საზოგადოების კასსაში.

1900 წლის 1 იანვრისთვის საზოგადოებას ჰყოლია 468 წევრი; წლის განმავლობაში შემატებია 51 წევრი, გასულა 50: ასე რომ დღეს საზოგადოებას ჰყავს 469 წევრი 108.625 მანეთის შემომტანი, რაც შეადგენს საზოგადოების ძირითად თანხას. წლის განმავლობაში დროებით მობარებული ფული ოთვიდა —109.410 მან., უვადოთ მობარებული—16.885 მან., წლის განმავლობაში კასსაში დატრიალებულა 2.718.859 მან. 88 კ.; წლიურ მოგებას შეადგენს 11.922 მან. 67 კაპ. რომლიდგან, საჭირო ხარჯების დაფარვის შემდეგ: ოთვულ ას მანეთზე წევრთ რგებიათ 5 მან. 61 კაპ. (შარშან წინ კი 3 მან. და კაპეიკები). საინტერესო ცნობები იმის შესახებ, თუ რა გვარი მესესხებელი ჰყავს საზოგადოებას; 1900 წლის განმავლობაში კასსიდან გაუტანიათ 2500 მახეთამდი 39 წევრს. 2000 მანეთამდის 83 წევ., 1500 მანეთამდის 10 წევრ., 1000 მანეთამდის 241 წევრს, 500 მანეთამდის 83 წევრს,

ე. ი. საზოგადოების მესესხებელნი წვრილი მოვაჭრეები არიან უმეტეს ნაწილად.

საზოგადოების საქმე წარსული წლის განმავლობაში კარგათ მიმდინარეობდა, ამაში დიდად წახმარებია ის, რომ კომგეობას ძრიელ შეუმტარებია სესხის გაცემა საქონლის გირაოს ქვეშ, რისგანაც წინა წლებში მუდამ ზარალი ჰქონდა საზოგადოებას.

რადგან საზოგადოებას არა აქვს იმოდენი თანხა, რომ მუდამ მიანდოს თავის წევრთ, მათ მოთხოვნილების კვალობაზე, საჭირო ფული, ამიტომ ბ. ლ. გაბუნიამ ურჩია კრებას წრეკანდელი დივიდენდი დაეტოვებინა კასსაში და ამგვარად წლიდან წლამდის საზოგადოებას შეედგინა სამუშაო თანხის გასაძღიერებელი ფონდი. მცირე კამათის შემდეგ კრებამ მიიღო ასეთი წინადადება, ასე რომ წლეკანდელი დივიდენდი 6000 მან. დარჩება ისევ საზოგადოების კასსაში. ამასთანავე კრებამ გარდასწყიტა მიჰმართოს მთავრობას თხოვნით, რომ შეცვლილ იქმნას საზოგადოების წესდების მე-17 §-ი ამ აზრით, რომ საზოგადოებას ნება ჰქონდეს გარეშე პირთაგანაც მიიღოს შესანახად ფული არა ნაკლებ 5 თუმანისა. კრებამ ამისთანავე დაადგინა 1100 მანეთით დირექტორი ბატ. ა. გოგიჯანიშვილი, რომელს ხვდა წასული წლის განმავლობაში მარტოდ მუშაობა ბანკში. შემდეგ დამტკიცებულ იქმნა ხარჯთ-აღრიცხვა 15.700 მანეთისა.

კრება შეუდგა დანიშნულ არჩევნებს. უნდა ამორჩეულ ყოფილიყო საზოგადოების კომგეობის თავმჯდომარეს და მაგიერ ბატ. შბოლიანსკისა, რომელს სამსახურის ვადა ჰქონდა დასრულებული. ერთხმად ამორჩეულ იქმნა ისევ ბ. შბოლიანსკი. შემდეგ კენჭი უყარეს დირექტორის ადგილზედ კანდიდატებად დასახელებულ ბ. ნ. ჯაუელს, ბ. კ. ჩხეიძეს და თავ. ნ. ნაკაშიძეს. არჩეულ იქმნა უკანასკნელი, რომელმაც მიიღო 154 თეთრი და 147 შავი კენჭი; ხოლო ბ. ნ. ჯაუელმა 130 თეთრი და 171 შავი, ბ. კ. ჩხეიძემ—98 თეთრი და 203 შავი კენჭი. სარევიზიო კომისიაში ამორჩეულ იქმნენ ისევ წინანდელები—ბ. რატვილოვიჩი, ი. კანდელაკი და ი. საბახტარიშვილი. საბჭოს წევრებათ, ნაცვლად ვადა გასულთ ბ. ბ. ნ. ჯაუელისა, ევ. ბერძენიშვილისა, ი. გედევანიშვილისა და ნიკ. დუმბაძისა (უკანასკნელი ბათუმიდგან წავიდა სამსახურის გამო), ამორჩეულ იქმნენ დიდის უმეტესობით ისევ ბ.ბ. ნიკ. ჯაუელი, ევ. ბერძენიშვილი ივ. მესხი და დავ. ზიდბერმეისტრი.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო! გთხოვთ უმორჩილესად ამ წერილს დგილი დაუთმოთ თქვენ პატივ-ცემულ გაზეთ „ცნობის ფურცელში“.

ჩვენ მივიღეთ სამოცდა თხუთხმეტი მანეთი და სამოცდა სამი კაპეიკი ხელის მოწერით შეკრებილი ბ. ვ. ტატიშვილისაგან, სასარგებლოდ ჩემდამო რწმუნებულ მარტვილის უფასო წიგნ-საცავ სამკითველოსი.

აი სია ხელის მომწერთა 3 მ. პ. ცომაიამ, 2 მ. თ. კეშილავამ, დევ. გ. ბერიძემ, ი. ჩიქოვანმა, ლ. კლდიაშვილმა. 1 მ. ე. შავდიამ, დ. ჩიქოვანმა, ი. ჩიქოვანმა, ბ. ხაინდრავამ, ე მონიავამ, ბ. კანდელაკმა, ფ. ჩიხლაძემ, მღვ. რომანოზ ჟორდანიამ, თ. გეგეჭკორმა. მ. გაბუნიამ, თომა კეშილავამ, ბ. კუხალაშვილმა, გრ. ჩაჩიბაიამ, მღვ. დ. მასხულიამ, ვ. შავდიამ, მღვ. რ. ურიდიამ, კ. ჩიქოვანმა, მ. ჩაჩიბაიამ, მ. ჩიქოვანმა, გრ. დ. ფაღავამ, ვ. ელიავამ და გრ. ანჯაფარიძემ; 50 კ. კ. ჯაიანმა, თ. ნაჭყებიამ, ბ. ჩიქოვანმა, ევ. ჩიქვანაიამ, რ. ქარასანიძემ, ი. მონიავამ, თ. რატიანმა, ო. გელენიძემ, იას. ჩიქოვანმა, ზ. ხურცილავამ, დიაკ. სილიბისტრო ჟორდანიამ, ბ. ფირცხალავამ, პ. ხარებავამ, ნ. ფირცხალავამ, ი. გრიგოლავამ, პ. ნაჭყებიამ, ფ. გვილავამ, ი. ნაჭყებიამ, ს. სურმავამ, გრ. ცანავამ, ა. კუხალაშვილმა, მ. ჩიხლაძემ, ა. ჩიქოვანმა, ე. ფარულავამ, მ. ჩხეტიამ, ნ. ბასილაიამ, ს. ჯანაშისმ, გ. ხურცილავამ, კ. კეშილავამ, ივ. გვალიამ, ია თოდუამ, კ. დგებუაძემ, ტ. გეგეჭკორმა, ბ. ჩიქოვანმა, ა. ჩიქოვანმა, თ. შავდიამ, გ. სიგუამ, მ. ფაღავამ, ს. ბრეგვაძემ, თ. ჯღარკავამ, ნ. სურმავამ. ზ. გეგელიამ, ს. ფარცვანიამ. გ. რ. გეგელიამ, ბლაღ. მღვ. ა. რევიამ, ტ. ჩიქოვანმა, მღვ. დ, ოხიძემ, ა. ჩიქოვანმა, ე. გეგელიამ, თ. ჩახავამ, ა. გეგელიამ, ა. შავდიამ, ლ. ჩიქოვანმა, პ. კახიანმა, გ. გეგელიამ, გ. შავდიამ, დ. შავდიამ, ზ. ფაღავამ დ. ი. ჩიქოვანმა და ჯ. თოდუამ! 40 კ. დ. რევიამ, ა. რევიამ, დ. წულაიამ, ვლ. ცხაკაიამ, პ. ჯღანჯღავამ და ს. ჩიქოვანმა, სულ 66 მ. და 60 კ. ხოლო წვრილ წვრილად 9 მ. და 3 კ.

უღრმეს მადლობას ვსწირავ ბ. ვ. ტატიშვილს ამ გვარი სასარგებლო საქმეზე შრომის მიღებისათვის და აგრეთვე ყველა ხელის მომწერთ ამ სიაში ალნიშნულთ და მათაც, რომელნიც არ არიან მოხსენებულნი ამ სიაში, (მოვერიდეთ რა წერილის სიდიდეს, წვრილ წვრილი ხელის მომწერთა გვარი და ახელი დავტოვეთ), რომელთაც შეძლებისა და გვარად თავიანთი წვლილი არ დაიშურეს სამკითხველოს საკეთილდღეოდ.

გამგე მარტვილის უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოსი

დიუბოვ გაწერელიასი

საღამოს დეპეშები

28 მარტი

პეტერბურგი. ხელმწიფე დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული 27 მარტს კოპენჰაგენიდან პეტერბურგს წამობრძანდა.

უმაღლესად ნაბრძანებია აღდგომის ღამეს საზამთრო სასახლეში მოვიდნენ ლიტანიაზე ყველა ის პირნი, რომელთაც ნება აქვთ სასახლეში მოსვლისა.

პეტერბურგის სამოსამართლო პალატამ, წოდებათა წარმომადგენელთა თანადასწრებით, 27 მარტს განიხილა საქმე ტიტ. სოვეტნ. შვილის ნიკ. კონსტ. ძის ლაგოვსკისა, რომელმაც უწმინდესის სინოდის ობერ პროკურორს რევოლვერი ესროლა, და დაადგინა: ბრალდებულს ნიკოლოზ ლაგოვსკის ჩამოერთვას ყოველი უფლებანი და გაიგზავნოს კატორღაში ექვსის წლით.

ხარკოვი. სამხედრო სასამართლომ გამოაცხადა განაჩენი გრაფის გოლოვკინიხოშჩინსკის საქმის შესახებ, რომელსაც საფრანგეთის ქვეშევრდომის სერვეს დაპრალედებოდა ბრალად: „დამნაშავედ იქმნას ცნობილი გულმოსულობის დროს დანაშაულობის ჩადენაში და გამოირიცხოს სამხედრო სამსახურიდან, ჩამოერთვას ხარისხი, აზნაურობის ღირსება, განსაკუთრებული უფლება-უპირატესობანი და დატუსაღებულ იქმნენ საპყრობილეში შვიდის თვით.

სამარა. ვოლგაზე ყველგან ყინული გალხვა.

ჩისტოპოლი. თბილა, წვიმებია. კამაზე ყინული გალხვა.

ბროდნო. მინდვრებზე თოვლი დადნა. თბილი გაზაფხულის დღეები დგას და დროგამოშვებით წვიმა მოდის.

ტულონი. გენუის ჰერცოგმა გარდაუხადა სამაგიერო დარბაზობა საზღვაო პრეფექტს ბომონს. როდესაც ჰერცოგი საადმირალო გემ „ლეპანტო“-დან გადმოვიდა, ზარბაზნები გაისროლეს. საფრანგეთის გემებმაც ამგვარადვე უპასუხეს. ჰერცოგმა გემიდან გადმოსვლის შემდეგ მიიღო საზღვაო ქვეითა ჯარის-კაცები და მიულოცა გენერალ კოროონას, რომ მას ჯარი კარგადა ჰყოლია გაწრთვნილი. ამის შემდეგ ჰერცოგი წავიდა პრეფექტურაში. გზაზედ ორსავე მხრივ ჯარები იდგა და მუსიკა უკრავდა. ბომონი სიამოვნებით მიეგება და მეგობრული საუბარი ჰქონდათ. ჰერცოგმა სიხარული გამოსთქვა, რომ ტულონში ლუბეზედ ადრე მოვიდა, რაიც საშუალებას აძლევს მას ადმირალსა და ოფიცრებს უფრო მეგობრულად შეხვდეს. ბომონმა მადლობა გადაუხადა და განუცხადა, რომ სიამოვნებით ეახლება სტუმარს ტულონის მიდამოების დასათვალიერებლად. ჰერცოგმა უპასუხა, რომ იძულებულია ტულონი დასტოვოს შაბათს; საუბარი 20 წუთს გაგრძელდა. ჰერცოგი ისეთისავე პატივით მიაცილეს გემამდე. მცხოვრებნი ყველგან აღტაცებით ეგებებოდნენ მას.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 27 მარტს.

ვექსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,70
ბერლინზე 100 მარკაში.	45,87½
პარიზზე 100 ფრანკში	37,30
ლონდონზე ჩეკები	94,65
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	[illegible]
ბირჟის დისკონტი	6¾

4% სახელმ. [illegible]	[illegible]
1½% შინაგანი სესხ. 1884 წ.	100 —
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა.	— 96
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	— —
5% მეორე შინა. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . .	— —
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	— —
3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	— —
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკი 5% გირავნ. ფურცლ	— —
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკი ა.	86½ —
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ	— —
5% გირავნ. ფ. რც. იმავე ბანკისა.	93 —
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	93 —
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	84½ —

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლ[illegible]

(ფრჩხილებს გარეშე ნაჩვენებია პეტერბურგის ფრჩხილებში კი—ტფილისის).

სწრაფი მატარებელი № 2 ტფილისიდ[illegible] ქოში გადის კვირაში ერ. ხელ — ოთხშაბ[illegible] დილის 7 ს. 56 წ. (8 ს. 54 წ.), ჩადის სადამოს 9 ს. (9 ს. 58 წ.).

სწრაფი მატარებელი № 1 ბაქოდან ტ[illegible] სში გადის დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 4[illegible] ტფილისში ჩამოდის სადამოს 8 ს. 12 [illegible] ს. 10 წ

სუფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან [illegible] ლისში გადის დამის 11 ს. 15 წ. (12 [illegible] წ.). ტფილისში ჩამოდის ნაშუადღევის 5 [illegible] 35 წ. (6 საათ. 33 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუმ[illegible] დის სადამოს 6 საათ. 30 წ. (7 ს. 28 [illegible] ბათუმში ჩადის დილის 7 ს. 10 წ. (8 ს [illegible]

მგზავრთა მატარებელი № 5 ბა[illegible]ოდან [illegible] ლისშა გადის ნაშუადღევის 3 ს. 5 წ. [illegible] 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 8 ს. [illegible] (9 ს. 21 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბა[illegible] ვადის დილის 9 ს 3 წ. (10 ს. 1 წ.), [illegible] ში ჩადის სადამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. [illegible]

მგზავრთა მატარებელი № 6 ბათუ[illegible] ტფილისში გადის დილის 8 ს. 56 წ. [illegible] 54 წ.), ტფილისში ჩადის სადამოს 8 ს. [illegible] (9 ს. 40 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბ[illegible] გადის სადამოს 9 ს 22 წ. (10 ს. 2[illegible] ბაქოში ჩადის შუადღის 1 ს. 25 წ. (2 ს. [illegible]

სუფოსტო მატარებელი № 4 ბათ[illegible] (11 ს. 45 წ.), ტფილისში ჩადის დილის [illegible] 18 წ. (12 ს. 16 წ.).

იგივე მატარებელი ტ[illegible]ილისიდან ბ[illegible] გადის შუადღის 12 ს. 36 წ. (1 ს 3[illegible] ბაქოში ჩადის დილის 7 ს. (7 ს. 58 [illegible]

რედაქტორი ალ. ჭყონია. გამომცემ[illegible] ალ. ჯაბა[illegible]

საყურადღებო განცხადება

თუმცა პასკებს (ბაბკებს) ბევრი აცხობს, მაგრამ ჯერ ბევრს კი არა აქვს შესწ[illegible] ლილი ნამდვილი ხელობა პასკების კარგად გამოცხობისა, რის გამოც მყიდველ[illegible] ხშირად სტყუვდება. ამისათვის მაქვს პატივი ვაუწყო საზოგადოებას, რომ

არ. ივ. ალიხანოვის
საკანდიტერიოში

ვორონეჟის ქუჩაზე

საღდგომოდ მზადდება დიდძალი პასკები და «კულიჩები».

ჩემს სახელოსნოში პასკები საუკეთესო მასალიდან კეთდება და ყოველთვ[illegible] საუცხოო გემო აქვს, რაშიაც პატივცემული საზოგადოება ძლიერ ადვილა[illegible] დარწმუნდება.

Дрожжевой заводъ К. ШУРЪ.

(2—2) პატივისცემით არ. ივ. ალიხანოვი

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 Марта 1901 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ბისა, ვანქის დიდი ქუჩა, № 27.